ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13222714**
თარიღი:**28/09/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ'' ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, პირობებით, იჯარის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - ქალაქი ახალციხე, პაატა ნათენაძის ქუჩა N20, ფართობი: 30,00 კვ.მ.; საკადასტრო კოდი 62.09.58.539, გადასცეს ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩა N28/50-ში რეგისტრირებულ ერთობლივ ამხანაგობას „A&E PLUS" (ს/კ 224101059).

საფუძველი ერთობლივი ამხანაგობის „A&E PLUS" (ს/კ 224101059) თავმჯდომარის დალი გიორგაძის 2022 წლის 05 სექტემბრის N 10/122224873-12 მომართვა.

2. ერთობლივმა ამხანაგობამ „A&E PLUS" (ს/კ 224101059) სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს ნაყინისა და უალკოჰოლო სასმელების რეალიზაციისთვის.

3. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 30 კვადრატულ მეტრზე 90,00 (ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი"-ს 2022 წლის 15 სექტემბრის №408 აუდიტორული დასკვნა).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი